



საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
ხულოს მუნიციპალიტეტის გამგებელი

დ. ხულო ტბელ აბუსერისძის ქ. №1

ტელ: 27 00 01

N 400
09/06/2017

ბრძანება

400-09-4-201706090954



სოფელ ვაშლოვანში არსებული საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტის
(სარიტუალო დარბაზი; მიწის ნაკვეთის ს/კ 23.07.34.250; 23.07.34.239)
რეკონსტრუქცისათვის მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
დამტკიცების შესახებ

უნდა აღინიშნოს, რომ 2017 წლის 05 მაისს სოფელ ვაშლოვანის მცხოვრებ ოთარ ჯაყელის №4674/09 განცხადების საფუძველზე დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება სოფელ ვაშლოვანში მის საკუთრებაში არსებული საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტის (სარიტუალო დარბაზი) რეკონსტრუქცისათვის მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცების შესახებ.

განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია შესაბამისობაშია „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების VIII-ე თავის 37-ე მუხლით და IX-ე თავით მოთხოვნილ პირობებთან.

ადმინისტრაციული წარმოების მიმდინარეობის პროცესში დაცული იქნა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6-ე და მე-9-ე თავის მოთხოვნები. გამოკვლეული იქნა ყველა ის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებები, რომელთა გამოკვლევა აუცილებელი იყო ადმინისტრაციული აქტის მიღებისათვის და სხვა პირთა კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაცვის მიზნით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შესაძლებელია დაკმაყოფილდეს მოთხოვნა და დამტკიცდეს სოფელ ვაშლოვანში არსებული საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტის (სარიტუალო დარბაზი; მიწის ნაკვეთის ს/კ 23.07.34.250; 23.07.34.239) რეკონსტრუქცისათვის მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.


საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე-ე“ ქვეპუნქტის, ამავე კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6-ე და მე-9-ე თავების, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების VIII-ე თავის 37-ე მუხლის და მე-IX-ე თავით და ხულოს მუნიციპალიტეტის გამგეობის

არქიტექტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის არქიტექტურის, სივრცითი მოწყობისა და მშენებლობის განყოფილების უფროსის ანზორ ცეცხლამის 2017 წლის 02 ივნისის N1747-09 მოხსენებითი ბარათისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე

ვბრძანებ:

- 1) დამტკიცდეს სოფელ ვაშლოვანში არსებული საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტის (სარიტუალო დარბაზი; მიწის ნაკვეთის ს/კ 23.07.34.250; 23.07.34.239) რეკონსტრუქციისათვის მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები;
- 2) ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს ხულოს მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველ მოადგილეს ლაშა ბოლქვაძეს;
- 3) დაევალოს ხულოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ სამსახურს (ა.ბოლქვაძე) ბრძანების ოფიციალურ ვებ. გვერდზე (www.khulo.ge) ატვირთვა და შესაბამისი სამსახურ(ებ)ისათვის წინამდებარე ბრძანების ასლ(ებ)ის გადაცემა;
- 4) ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხულოს მაგისტრატ სასამართლოში (მის: დაბა ხულო, აღმაშენებლის N5)მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში;
- 5) ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ბესიკ ბაუჩაძე



გამგებელი

ხელმძღვანელობა